

033608

1883

№ IX XII

( 1883 წლის ნოტები )

1883

თბილისი.

მწოდებელის სტამბა.

1883

22/12-1 (mg)

22/12



# ՈՅԵՐՈՅ

ԽԱՅՐԱԿԱՆ ԸՆԴՀԱՆՈՒՐ  
ՉՄԱՆԱԼՈ

6 034

ՎԵԼՈՎԱԾՈ ԹԵՇՎՈԾԵ

№ 9



ՊՃՈՂՈՅ

ԵՐԵՎԱՆ ԿԵՐպար ԿՐՈՅԱ, ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ ՀԱՅԻ ՀԵ

1883

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 октября 1883 г.

მართველ ხალხის მფრიდობა და განათლება  
ევ-VI საუკუნეებდე.

არამეტ თუ რესეთის ხალხში, არამედ თვით ქართველებ-  
მაც მაღალ ბუნდათ იციან ჩექნის მამა-შაპის წარსული ცხოვ-  
რება. მთელს კვრიპაშია არ მოიპოვება რომ სამი მციდნე  
საქართველოს ისტორიისა. ამისათვის უფასებ-გეარი გამოგვიდება  
ქართველ ხალხის ცხოვრებიდგან სასიამოვნოდ დაუზისათ  
სოლმე იმათ, რომელთაც ჭიშურთ რამე იცოდნენ. მაგრამ უკუ-  
ლაქედ უფრო საინტერესო უნდა იყოს ასტორიულ მეცნიე-  
რებისათვის გამოვლენა ქართველ ხალხის განათლებისა. ამ  
წერილით ჩვენ გვსური მივაჭრიოთ მკითხველის უწინადელება  
ქართველ სალხის მწერლობასა და განათლებაზე იგარნავაზ მე-  
ოუდგან დაწესებულა, კიდევ მე-V საუკუნის დასასრულამდე.

რომ ამ საგნის შესახებ გამოვლენა უფრო საფუ-  
ძლიანი და უპირესი იყოს, ჩვენ გვწადან საუბარი  
კიწურთ ქართველთაგან საქუთარის ანანის შემოღებიდ-  
გან მე-III საუკუნეში ქრისტიეს დაბადების უწინარეს. ასრე  
შორიდგან დაშარევის დაწესება ჩვენ მით უფრო უმეტეს საჭი-  
როდ მიგანინა, რომ საქუთარი მწერლობა ამტკიცებს: პირეკ-  
ლად სალხის თვითმყოფობას და კეთილ-შობილურს ლტოლვი-  
ლებას წერის საშუალობით დაიცვას კეთილნი მაგალითი შთა-  
მამავლობის გასაწართვნელად და აღსაზრდელად; მეორედ—სა-

კუთარის მწერლობით საღსი მეცადინების აღმეცვდის თავისი სულის მაღალნი ზენერატონი ძალანი მესამედ — მწერლობის შემწეობით ურველი საღსი იცავს სიკვდილისაგან თავის ენას; მერითხედ — უოველი საღსის განათლება იწყობა საკუთარის მწერლობის შემოღებით, და სმარებით, და მეხუთედ — იმ საღსზე, რომელსაც ძველის ძველადგანშე ჭრისა მწერლობა, არ შეიძლება თქმა, რომ მას განათლება არა ჭრისძალა.

მართლაცა და არიან მრავალნი ისტორიულნი თქმულებანი ჩვენსა და უცხო ისტორიულისთ თხზულებებში გაიგანტულნი, რომელიც გვარწმუნებენ, რომ უწინაც და ქრისტიანობის შირველს საუკუნეებშიარ ქართველნი განათლებულნი და განვითარებულნი უოვილას სწავლა — მეცნიერებითა.

ეს განათლება ქართველის საღსისა დაიწყო ქრისტეს დაბადების უწინარეს (302 წელს), როცა ივანესავას მეფემ შეადგინა ქართული «მსედრული» ასოცია. უკუკელია, რომ ამავე დროს დაიწყო ქართული ლიტერატურაცაცა: არ შეიძლებოდა რომ ასოციას გამოვოხესასთან რაიმე არ დაწერათ მოსწავლა დარმათათვის საკითხაგადაც.

ვადრე «ხუცურა» ასოციას გამოიგრძნებდნენ მე-IV საუკუნეში, ქართველი საღსი ამ ანბანით სწავლობდა წერა კითხვას და გონიერობათ განვითარდებოდა. პ. ისაელიანი ამბობს, რომ «ძიედრულის», ასოციათ იყო დაწერილი წიგნი „ნებროთიანი“, რმელიაც მირიან მეფე ჭკითსულობდათ. იგივე მწერალი ამბობს, რომ არის ნაპოენი იველი აზორესა და არმაზელ მეფეთაო (87—103 წელს მ-ფობდნენ), და იმაზე ზედ-წარწერა მხე-

დოკუმენტის ასოებით არისო\*). აგრეთვე დაბეჭითებით მოგვითხოვ-  
შენ, რომ ქრ. უმდეგ, 233 წ., ქართველთაგან ქრისტიანობის მი-  
ღებამდე, საქართველოს მეფემ ბაკურ I-მა, განათლებულმა მოაგ-  
ლითა ენებითა და ელლინურისა ენაზე ფილოსოფიის მცოდნებ  
დასწერა და შეთხხა ქართულს ენაზე რამდენიმე წიგნი, რომელთა  
გან ერთი დაშოთა ათასის, ივერიის, მონასტერებში, ვიდრე წმინ-  
დისა მამისა ჩვენისა ეფთვიმისამდე და წიგნისა მას ეწოდებოდა  
„ბაკურა“, სასელითა მეფისა მისის შემთხვევლისა. იგი სოარგმნა  
(ძე-XI საუკუნეში) წმ. მამამან ელლინურისა ენასა ზედა, რომელსაც  
მოუთხოვბოს მისი ცხოვრება“\*\*). ეს წიგნი, გადათარგმნილი  
ბერძნულს ენაზე, უნახავს ათონის მთაზე რუსის მწერალს  
ეპისკოპოზეს პორფირი უსპენსკისაც 1861 წ. იმავე სასელით, რა  
სასელითაციმას ისტენიებს თეიმურაზ ბატონიშვილი. გარდა ამისა  
„ქართლის ცხოვრება“, ამზობს, რომ მღვდელმა აბათარმა და  
დედაგარმა საღლომე უჯარმელმა დასწერეს წმ. ნინოს ცხოვრებათ.

ეს ისტორიული თქმულებანი ამტკიცებუნ, რომ საქართ-  
ველოს ერთ ჭერნდა რატაცა მწერლობა (ПИСЬМЕНА) და  
რომელი უნდა ყოფილ-იყო ის, თუ არა ქართული მხედრუ-  
ლი, რომლის შესახებ ქართველ სალხის გადმონაცემი ამბობს,  
რომ ის შეადგინა ფარნაგაზ მეფემარ? მართალია, ზოგიერთი  
მეცნიერი ამტკიცებს, რომ პირველად „ხუცური“ ანბანი იყო  
მედებენილით და მერე აქედან წარმოსდგა მხედრულით; მაგ-  
რამ ეს აზრი ჩვენ მართალი არა გვგონია და უფრო გეთანხ-  
მებით ბატ. ი. ლქომდებულიშვილის აზრს, რომელიც «ივე-  
რიაში» იყო წარმოთქმული; ამისათვის ამ საგანზედ ჩვენ დაპა-

\*). №. Описаніе г. Тифліса გვ. 153.

\*\*). №. ისტორია თეიმურაზ ბატ—შვილისა. გვ. 200

დავს აღარ განვაგრძობთ; ვიტევდთ კიდევ მსოლოდ იმას, რომ  
ქართველი ხალხის განათლება ფარსავაზის მიერ ანბანის გა-  
მოგონების დროიდებს დაწეულ.

სრულიად ეჭვი არა გრძელს, რომ წმინდა ნინოსაგან სა-  
ქართველოში ქრისტიანი სკულის გავრცელებამდე ქართველი  
სალსი განათლებული იყო. რით ასესნება მაგალითად რომის  
იმპერიატორების გესტისინისა, ტიტისა, ამის მმის დომინიანისა  
და ადრიანის მეობირობა ქართველთ მეფეებთან, თუ არა იმით,  
რომ საქართველოს ერთ პოლიტიკური სიძლიერეც ჭრისა და  
განათლებაც? 75 წელს ჭრ. დაბადების შემდეგ ამათთაგან პირველი  
უშესებს მცხვთაში თავის სარჯოთ საქართველოს მეფეს მიტო-  
დატ I-ს ციხეს და ზედ აწერს: „საქართველოს მეფეს მიტ-  
ოდატი, ივანესმანისა და იამაზიდის შვილს, რომელიც მეგობა-  
რია კეისრისა და რომის სალსისა“. გარდა ამისა, 138 წელს  
რომის იმპერიატორმა ადრიანმა და სენატმა არა ჩვეულებრივი  
შატრივი სცეს საქართველოს მეფეს ივანესმან II-ს. ის დიდის  
ყოფით და ამბით მიღების რომში და ნება მისცეს «იმისა და  
იმის ცოდს. სამღროთო შეწირათ კაპიტოლიაში, სადა მისი  
სურათი—სტატუს აღემართათ ცხენზე მჯდომარე\*“). რათა  
სცემდა ამისთან დიდი პატივს უუძლიერესი სახელმწიფო ძეგ-  
ლის დორისა საქართველოს მეფეთა, თუ საქართველოს ერთ და  
მისი მეფეები. იუგნენ უმეტარესი ბარბაროზნი? განა საფიქრებელი  
არ არის, რომ ქრისტიანობის შირველს საუკუნოებში საქართ-  
ველო ძლიერი იყო პოლიტიკურათაც და განათლებითაც? რო-

\*) Особяя прибавленія къ газ. «Павказъ» 1868 г.  
Выпукъ первый.

მალებს არა ჭრონდათ ჩვეულებათ ბართარიზ ხალხისათვის პატივი ეცათ: და ან კი არ ხავიძერებელია, რომ ძევდს დროს ქართველი არ იუნენ, დროს შესაფერად, განათლებულები? ისინი იცნობდნენ ფინიკიულებს; ასურელებს, სპარსელებს, ბერძნებს, რომაელებს და სხვა განათლებულ ხალხებს ძველ ჩრდილისას, და მათთვის მისვლა-მრავლა, პოლიტიკური და გაკრელი გაგშირი ჭრონდათ. და ნუ თუ იმათ მიხედვით ქართველნიც არ მიჰყებოდნენ განათლებას და არ გამოიგონებდნენ თავისთვის საკუთარს ანბანს? არამარც თუ საკუთარი მწერლობა, არამედ ლიტერატურაც ჭრონდათ იმათ. აბიათარი შევდელი, რომელიც წმინდა ნინოს მოწაფე იუო და მისი ცხოვრება აღწერა, ამბობს: როცა სპარსეთიდგან მოვიდნენ მოვენი იერუსალიმს იესო ქრისტესთვის თაყვანის-საჯემლად,—ეს ამბავი შეიტევს მცხეთის ურიებმა და ასრუ ეგონათ ურიასტრის დაბეჭრებს სპარსეთის მევებმა და აივლესო, „რომლისათვის იქმნა გლოვა და წუსილი ურიათა ტედა ქართველთა, მცხეოლთა“ ქოდის-წეაროველთა მწივნობართა და ხობის ქნანელთა მთარგმელთა“\*). რომელს ენაზე გადმოთარგმნეს ამ ურიათა წიგნები, თუ არა ქართულზე? სიტეკები ხმარებული: „ურიათა ტედა ქართველთა“ ამტკიცებს რომ იმათ (საქართველოს ურიათ) დავიწუებული ჭრონდათ თავისი საკუთარ ენა და იცოდნენ მხოლოდ ქართული, და თავიანთვის სახმარად საზროო, წიგნებიც ქართულს ენაზე ჭრონდათ გადმოთარგმნილი.

თუმცა ეს თქმულება იმას არ ამტკიცებს, რომ ამ დროს ქართველებს საკუთარი ანბანი ჭრონდათ: ურიებს შემლოთ

\*) ი. ქართ. ცხოვრება გვ. 79. აგრეთვე საქართველოს სამონეთ, გვ. 134.

თავიანთი ანბანი ქართულს ენაზე წიგნების სა-  
თარგმნელად და საწერად; მაგრამ იმ აზრს კი ამტკიცებს, რომ  
ქრისტეს დაბადების დროს კავკასიაში ქართული ენა ბატონო-  
ბდა. ეს ბატონობა მსოლოდ მით აისანება, რომ ის იყო ენა გან-  
ვითარებული, და ეს არ შეიძლებოდა, თუ იმას თავისი საკუ-  
თარი ანბანი არა ჭრის მიღებილი. იქ, სადაც ურიანი ქარ-  
თულთ მორჩილი იყვნენ და მწერლობა ჭრის და ქართულს.  
ენაზე, შეუძლებელი იყო ქართველიაც ურიათათვის მისედევით  
თავიანთი მწერლობა და მწიგნობრობა არა ჭრის და ქრისტიანობის  
სიტყვით, ჩვენ გვჯერა რომ ჭრისტიანობის პირველს საუკუ-  
ნოებში ქართველთ თავის მწერლობა ჭრის და სალხი იყო  
განათლებული მაშინდელის სწავლა-მეცნიერებითა.

მაგრამ ეს განათლება იყო წარმართული და არა ჭრის-  
ტიანელი. ამ მიზეზისა გამო 318 წელს, წმინდა ნინოსაგან  
ჭრისტეს სჯულის გაუცემების შემდეგ ქართველთ შორის  
უარ-უოთილი იქმნა წარმართული დროინდელი მწერლობაც  
და მაშინდელი ლიტერატურაც. სომხის ისტორიკოსი ამშო-  
ბენ, რომ წარმართლის დროს დაწერილი წიგნები დასწევს  
არმენიაში, საქართველოში და ალბანიაში. არმენიაში\*) ამ გა-  
მარჯვებას მიაწერენ ისტორიის მეცნიერნი გრიგორ განმანათ-  
ლებელს, საქართველოში წმინდა წინოს და მთავარ ეპისკოპოზს  
მიჰელს, რომელიც სცხოვრებდა კახტანგ გორგასლანის დედის  
საგდებრის მთავარ-მმართველობის დროს; და ალბანიაში ვიდაც-  
კილაცებს და სომხის სასულიერო წოდებას. „გრიგორ გან-

\*) ჩვენ „არმენია“ გრძელობით და არა „სომხეთი“, ამისათვის,  
რომ უკანასკნელის სახელის გებასით იმ მაზრას, რომელისაც სომხები  
ასახელებენ „გუგარე“. ეს არის ნაწილო საქართველოს მიწა-წყლისა.

მანათლებელმა ურჩია წმინდა ნინოს, ამბობს მთსე ქორენელი, ისიც ისრე მოქცეულ იყო ივერიაში, ოფელურც ის მოიქცა არმენიაში”, ესე იგი დაეწეა წიგნები და დაემტკრია კერპები. ამ გვარად წიგნებისათვის მოპყრობით სულიერ მამებს ეწადათ სალსისათვის დაევიწებინათ კერპობა \*).

აქედან ცხადია, რომ ქართველთ ჭრონდათ საკუთარი ლიტერატურა, კერპობის დროს ნაწარმოებია მაშ რა დასწევს, თუ არა ჭრონდათ? და თუ ჭრონდათ, მაშ უძღველია, რომ ქართველნი არ იყვნენ მოგლებულნი განათლებას იმ დროს, როცა მათ ქრისტეს სარწმუნოება მიიღეს. ამ აზრის ამტკიცებს ქართველთაგან თავის ნებით ქრისტეს სკულის მიღების დაწებაც მოციქულთა დროიდგანეუ. ისტორია კაცობრობისაში ქრისტიანობის გავრცელებისა მოწმობს, რომ პირველ საუგუნოებში ქრისტეს სარწმუნოება მიიღეს მხრილოდ იმ სალხებმა, რომელნიც განათლებულნი იყვნენ, რადგანაც მხრილოდ ამათ სცნეს მისი უაღრესობა, როცა შეადარეს ქრისტეს სწავლა კერპობასთან.

318 წელს ქართველებმა მიიღეს თუ არა ქრისტეს სარწმუნოება, მაშინვე დასტოვეს თავიანთი მხედრული მწერლო-

ძელუად მას ერქო «საერისთვო ზუნანისა» (იხ. ვახუშ. გეოგრ. გვ. 140), უძღვეში დაერქო «სომხითი» და არა „სომხეთი.“ როცა ქართველები დაიჭერდნენ ამ ნაწილს, ეძახდნენ «სომხითი»—როცა სომხები—„გუგარკი“ ერთმანეთის ჯაძრით და გასაჯავრებელად, რომ თქვენი მიწა გვიჭირავთ.

\*) იხ. Ист. М. Хоренс. гл. 51, 153, 192; Истор. Константинаци გл. 8, 241; Арменія въ V в. Ахвердова гл. 93; ქართლის ცხოვრება გл. 110.

ბაც და აღარ ხმარობდნენ მას 318 წლიდგინ დაწყებული 393 წლამდე. ეს დრო შეადგენს 75 წელიწადს.

ეს საქმე შირველად მოხდა იმ მიზეზისა გამო, ოთმ სა-  
მლეთო წერილი კერ არ იყო გადმოღებული ქართულს ენაზე;  
მეორედ — სასულიერო წოდება შესდგებოდა ბერძნთაგან და  
წირვა-ლოცვა აღსაულდებოდა ბერძნულს ენაზე; მესამედ — ამ  
საქმეს ხელი მოუმართა საბერძნებოს პალიტიკურმა ანგა-  
რიშვი.

მაგრამ დიდი ხანი არ გასულა, ოთმ ხსენებული ხალხე-  
ბი იმულებული შეიქმნენ ისევ საკუთარი ასბანები ჭჭონოდათ.  
რათა? რისთვის? რა მიზეზით? ამის საბანები შეიქმნენ ბერძნე-  
ბი და სპარსელნი. საქმე იმაშია, ოთმ საბერძნებოს ჭსურდა  
სპარსეთი დაემარცხებინა, მაგრამ ამის შეძლება არა ჭჭონდა.  
ამ მიზეზისა გამო, ოცა საქართველომა და არმენიამ ჭრის-  
ტიანობა მიიღეს, იმან განიზრასა მათი გაბერძნება და მიმს-  
რობა ისრე მკვიდრად, ოთმ სარწმუნოების მიზეზით ისინი  
სპარსეთის აღარ მიმსროდნენ, მათით ზურგი გაემაგრებინა და  
დღეს იქნებოდა თუ ხვალ, ის დაემარცხებინა. სპარსეთის ეს  
აჯავრებოდა, ებრძოდა საბერძნების, აოსრებდა და იკლებდა სა-  
ქართველოსა და არმენიას მისის ჯავრით, და ჭრისტიანობის  
აღვიარების ნებასაც არ აძლევდა მიათ, რადგან სჭული საბერძნეთ-  
სა და ამ ოცს საფლას აკავშირებდა; მაგრამ არც საქართველო  
და არც არმენია არა სტრუქტურული საბერძნეთ-  
სა და ამ ოცს საფლას აკავშირებდა; მათით ზურგი გასცა ასე-  
და არმენია არა სტრუქტურული თავის სარწმუნოებას. სპარ-  
სეთის ამისათვის უფლი ექვეჩებოდა, ჯავრობდა და მძეინვარებ-  
და საქართველოში და არმენიაში. ჭრისტიანობის ამოზგრა-  
რომ კერ შოახერხა ამ ოცს ჭვეულაში, გასცა ასეთა ბრძანება:  
აღარ ესწავლდნათ ქართველთა და სომებთ ბერძნული ენა, აგ-  
რეთვე უარი უფლი მისი შეწერებობა და აღარც წირვა-ლოცვა

აქსორულებისათ კვლესიებში ბერძნულს ენაზე. მისის ბრძანებით მეტყვანისა და სწავლისა აღბანიაში და არმენიაში ბერძნულს ენაზე დაწერილი საფმთო და საკელესით წიგნები, და ბრძანება გასცა წილვა-ღორგა სირიულს ენაზე შეესრულებისათ; აგრეთვე ესწავლნათ სპარსული ენა, რომ რა არის ამ სასით უღებელ-გვარი კავშირი ამ ღრის ქრისტიან სალშისა საბერძნებითან მოსპობილი უფლიბიყო.

მაგრამ ამის ნებას კიდე ას აძლევდა საჭართველოსა და არმენიას საბერძნებით. ოავის მხრით ის ითხოვდა ქართველთა და სომქთაგან, რომ მათ მსოლოდ ბერძნული ენა ესწავლ-ნათ და წილვა ღორგაც მათებურის წიგნებით აქსორულებისათ. ამისა გამო დიდი შეწუხებაში იყვნენ ქართველი და სომები. \*)

მაგრამ უნდა ეი კსოქვათ, რომ ეს დევნა და წვალება სა-პეტრო და საბერძნიერო შეიქმნა ამ ხსლებისათვის: გამოა-ფიზება ისინი, მოაგრანა თავისი ვინაობა და საკუთარი მწერ-ლობა, ერთის სიტყვით გაჰქირებამ შოთავანა საჭართველო და არმენია მომრაობაში. რაც ეი ამ ქვეუნებში ნასწავლი და გო-ნიერი გაცი იურ, უკელანი იმის ფიქრობდნენ, როგორმე ეხს-ნეთ თავი გაჰქირვებიდგან. ტეუილად ხომ არ არის. ნათქ-ვამი: «გაჰქირება მიჩეუნა, გაქცევას გასწავლით.» ხითათის თავიდგან ასაშორებლად ქართველთ, სომქთ და აღბანელთ გადასწუკიტეს მოსპონ ბერძნული ენის შესწავლა, გადათარგმ-ნონ თავიანთ სამშობლო ენებზე სამღვთო წერილი და საკ-კლესით წიგნები. მაგრამ ამისათვის საჭირო იურ საკუთარი ანბანი.

\*) იხ. M ხორენც, გვ. 192—208.

ამ აზრს ადგნენ: საქართველოსი, არმენიისა და ალბანიის სამღვდელოება, მეფენი, მთავარი, ქვეუნის მოსელენი და განათლებული პირი. საქართველოში საკუთარის მწერლობის შემოღებაზე ჭიდებული ანუ ანუ ვარაც ბაკურ, მესრობის მოწაფე ჭაველი, მთამამავლობით ქართველი, კარგი მეცნიერი ქართველისა, ხელმძღვანისა და სომხერის ენებისა, და აგრეთვე ეპისკოპოსი მოსე; კახეთში ანუ ალბანიაში ამ აზრს ადგანან: მეფე არსევაგენი, მთავარ-ეპისკოპოსი იურემია, დიდი მთავარი ვასაკი, ეპისკოპოსი ანანია და ასალ-გაზდა მეცნიერი ბენიამინი; სომქეთ შორის ამ ფიქტში არიან: მეფე ერისმათუნი, მესრობი, ქათალივლზე სააგი, მღვდელი აჟელი და ეპისკოპოსი დანიელი \*).

ეს სსენებული პირი ანუ, უფრო უკეთა ვსთქვათ, კამისიები შეიყალნენ ცალკ-ცალკე თავ-თავიანთ ქვეუნებში და ქართველებმა და სომხებმა ალადგინეს დავიწყებული ძველებური ანბანები: პირველთ „მსედრული“ ანანი, ფარნავაზ მეფისაგნ შედგნილი, მეორებმა ამას წინეთ დანიელ ეპისკოპოზისაგან, ომელიც იურ სირიელი, სომხერ ენისათვის შეწყობილი ანბანი\*\*), ომელსაც ნაკლებეგანება ჭქონდა და ამისათვის სომხები არ ჭმარობდნენ, მაგრამ გამისიამ და მესრობმა მას წაუმატეს 14 ასო და ასრე შეამუშავეს და შეაკეთეს \*\*\*); ხოლო ალბანიელებისათვის კი, ომელთაც ამ დრომდე მწერლობა არასრდეს, არა ჭქონდათ, შეადგინეს ახალი ანბანი, ომელსაც ეხლა ჩვენ ქართველი «ხუცურს» კემახით და ეკლესიებში

\*) იხ. Ист. Хоренс. гл. 209, 210, 211.

\*\*) იხ. Хоренс гл. 209 და 210.

\*\*\*) უფე ურმწვანე 4-ე მინა გვ. 366.

ვხმარობო. ის შეადგინა აღმანელმა მეცნიერმა ბენიამინმა, და არა მესრობმა. ის იუო შეწყობილი აღმანიაში ანუ კახეთში მცხოვრებ მოთავე ხალხის გარგარენების ენაზე, ორმელინდე იუპნენ აგრეთვე ქართველნი, გადმოსახლებულნი 160 წელს ქრისტეს უწინარეს სპარსეთის მეფის ძმისა კახარშავისაგან იმერეთიდან და ბათუმის მაზრიდან \*), მაგრამ ეს მწერლობა შემდეგში მიიღეს ქართველებმაც ეკლესიაში სახმარად; «მხედრული» კი დასტოუკა სამოქალაჭო ცხოვრებაში მიწერ-მოსაწერად. ამ გარემოებამ მისცა სომხებს მიზეზი დაეტრაპახნაო, ორმ ქართველობისთვისაც „სუცური“ ანბანი მესრობმა შეადგინაო. რასაკვირველია ისინი მართალნი არ არიან. ეს ოქმულება ორმ მართალი იუოს, ერთი ქართველი ძეველთა მწერალ-თაგანი მაინც არის იტუოდა, ორმ ქართველი «სუცური» ან-ბანის გამომგონი მესრობი არისო. მაგრამ ასრეთა თქმულება ქართველთ შორის არ არსებობს. მისი გამომგონი ორმ მე-სრობი უოფილ-იუოს, მაშინ ის ისრეთი სრული არ იქმნებოდა, ორგორიც არის. მას რომ შესძლებოდა ასრე კარგად ენაზედ ასოების შეწყობა, ჰირველად სომხურის ენისთვის გა-მოიგონებდა სრულსა და უნაკლულო ანბანს. რაც ოვის სა-შშობლო ენისთვის კერ მოახერხა, იმას უფრო კერ შესძლებდა უცხო ენისთვის. და ან კი რა საჭირო იუო ქართველებისა-თვის ახალი ანბანი, ორცა ვიცით, ორმ მათ «მხედრული» ანბანი ჭირდეთ? \*\*)

\*) იხ. Ист. М. Хор. გვ. 81—85 და 211. აგრეთვე კაგან- ჩატვალი გვ. 5.

\*\*) თუ მართლაც აღმანელო სხვა ანბან ჭერნდათ ხმარებაში და არა ქართველი „სუცური“, მაში რაცომ არ არის დარჩენილი არსალ კვალი

ასე და ამ სახით ხსენებულ მიზეზებისა გამო ქართველები და სომხები მიწხვდნენ რომ იმათ შეუძლიანო განთავისუფლდნენ ბერძნებისა და სპარსელებისაგან მხოლოდ მაშინ, როცა მათ ექნებათ: საკუთარი მწერლამა, სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვა, თავისით მოძმეთაგან უძღვარი სამღვდელოება, თავისით ენაზე საღმოთო წერილი და ეპლუსიერი წიგნება.

ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ქართველები მე-IV საუკუნის დასასრულა და მე-V საუკუნეში გაუნათლებელი არ იყვნენ. ამ გვარი მათი მეცადინეობა მოწმობს, რომ მათ ჰკუა-გონება

სხვა ალბანური მწერლობისა? რაცომ ვერ აღმოაჩინა აქამდე არხეოლოგიამ მისი ნაშთი? მართალია, ალბანელი ისტორიკოსი კაგანკა ფაც მოგვითხრობს, რომ ალბანელთ წიგნები სომხის სასულიერო წოდებამ დასწევათ (იხ. ისტორია მისი გვ. 241), რადგან ისინი მართლ-მაღიდებლობის წესით და მიმართულობით იყვნენ დაწერილნიო და სომხებს ალბანელების თავისითან სარწმუნოებით შეერთება ეჭადათო, მაგრამ მაინც არ შეიძლებოდა იმათი ისრე უემუსრვა, ისრე მოლად მოგროვება, რომ საღმე მაინც არის არ გადარჩენილ იყო ჩისი კვალი, მით უფრო უმეტეს, რომ ხალხისა და სასულიერო წოდების ჩახევარი წინააღმდეგი იყო სომხებთან სარწმუნოებით შეერთებაზე. ალბანიაში კიდევაც რომ მოქერქებინათ ამის ასრულება, იმას ვერ შევსძლებელნენ პალესტინაში, საცა მათ ჰკონიათ 100 მონასტერი (იხ. იქვე გვ. 230). აქ მაინც არის გადარჩებოდა ან წიგნი, ან რამე წარწერა საფლავზე ან ეკლესიაზე; ან რომელსამე ეკლესიერს ნივთზე. მაგრამ თვით ალბანიაშიც მისი არსებობის კვალის სრულიად გაქრობა შეუძლებელი იყო, ამისათვის რომ მე-X საუკუნემდე ის შეადგენდა დაუმოკიდებელ ეკლესიას, ჰუგანდა თავისი საკუთარი კათალიკოზი, სასულიერო წოდება და სამღვრო და საკლესით წიგნები; ის არ დაჰკერდავდა თავის მწერლობისა და ლიტერატურას, თუ რომ ის ყოფილ-იყო სხვა, და არა ქართული «ხუცური»; მაგრამ ალბანიას ანბანი არა ჰკონია. თვით ხალხი «გარდარენია», რო-

ანგიოთარებული ჰქონდათ მეცნიერების შარავანდელით. გო-  
გნება გაუნათლებელი და გაუსხენელი ხალხი გერასოდეს კურ მი-  
აგ ნებდა ამ პოლიტიკურს აზრს. ეტერბა გონების სიძნელე  
ქართველს უკუ-ურილი ჰქონდა სწავლითა და იურ პოლიტიკუ-  
რად გაწრთვილი. თავის საკუთარის ანბანის გამოგონებით  
და აღდგენით ერთ ხადგა ხალხსასწარ განათლების გვადში  
და დაიწყო ჭრიალიანული მწიგნობრობა. ამას კაშტაბით იმ  
მოსაზრებით, რომ უაველი ხალხის ხამდვილი განათლება იწ-  
ყობა იმ დროიდგან, როცა მას შეუდგენია თავისთვის საკუთა-

მელო ენაზეც ეს ანბანი იყო შეწყობილი; იყვნენ ქართველნი და იდგ-  
ნენ ალაზნის მარცხენა მხარეს ზაქათალისა და ნუხის მაზრებში, და  
აგრეთვე შირვანში. სომხის ისტორიოსები იმათ სახელიად უწოდებენ.  
თავიანთებურად „გარგარაცი“, მაგრამ გეოგრაფი სურაბონი კი იმათ  
ეძახის «გარგარენი»,\*). ეს წოდება არის ხამდვილი ქართული, ხმარე-  
ბული მრავლობით რიცხვზე, და ნიშანებს მონაპირედ, გარ—გარს ანუ  
გან—განს, მემიჯნებულ მცხოვრებ ქართველ ხალხს. როგორც ქართველთ  
ჩამამავლობის ხალხი მე-X საუკუნეში ის სრულიად შეუკრიბდა საქარ-  
თველოს ერთ პოლიტიკურათაც და სარწმუნოებითაც.

თუ რომ გარგარენი ქართველნი იყვნენ ჩამამავლობით და მხედ-  
რული ანბანი იმათაც ეკუთვნოდათ, მაში რაღა საჭირო იყო მათვის სა-  
კუთარი ანბანი,—მეტყვით? არ იყო საჭირო, მაგრამ საქმე იმაში,  
რომ ალბანია შეადგენდა ცალკე სამეფოს და აქაურს მეფებს უნდოდათ  
დაუმოკიდებლად ცხოვრება; ერთგვარი მწერლობა ალბანელთა და ქარ-  
თველთ უფრო დაუახლოვებდა ერთმანეროს და დააკავშირებდა; ეს არ ეწა-  
და არც სპარსეთს, არც ალბანიას; ამისათვის გამოიგონეს ცალკე ანბა-  
ნი, მაგრამ ის ქართველებმაც მიიღეს და ასრუ ამ სახით კავშირი მარნც.  
არ შესწევოტეს.

\*.) ახ. Шопенъ, Извѣдованія 0 бѣ обитателяхъ Кавказа ст. 484.

რო მწერლობა. უკუკელია, ორმ ქართველების ქრისტიანული განათლებაც მაშინ დაიწუო, ორცა მათ აღადგინეს მკვდრეოთ დავიწუებული მამა-პაპური მწერლობა და დაიწუეს სწავლა სა-მშობლო ენაზე. ეს ამბავი მოსდა ბავურ მეფის დროს 379 წლიდგან 393 წლამდე ანუ 361 წლიდგან 441 წლამდე, ორმელთ შორის დაიძადა და მოკვდა საეჭვო გამომგონი ან-ბანებისა მესრობი. 413 წელს ანბანი უკვე არსებობდა.

ასევე, რაც აქამდე გვიოქვემდე, კურ-ჯერობით იმაზე დაგე-მყარებით და ვიტევით, ორმ მე-IV საუკუნეშიაც ქართველი ხალხი არ იყო გაუნაოლებული. იმას იმოდენათ გასწილი და განვითარებული ჰქონდა ჰქვა-გონება, ორმ მიუხედა საკუთარი მწერლობის ქონვის საქიროების. იმათა და სომხებმა შეამუშავეს და შეაკეთეს თავისი ანბანები, გაა-წერ, ორგორც რიგი იყო და საჭიროება მოითხოვდა, მერმე კახსნეს «უოველს მაზრაში სკოლები» და მასწავლებლებათ გა-ნაწისეს მესრობის მოწავეთაგანნი. «ბავურ მეფისა, მთავრებ-ნელის ჯაუელის და ეპისკოპოსის მოსეს შემწეობით, ამბობს მოსე ქორენელი, მესრობმა ივერიაში (უთუოთ მწერიაში) შე-აგროვა უმაწვილები, გაჭურ ისინი ორად (ესე იგი გახსნა ორი სკოლა) და დაუკენა თავის მოწავეთაგან არი მასწავლებლი: ტერი ხორცენიდგან და მუშე ტარონიდგან, და უბრძანა ესწა-კლებინათ უმაწვილებისათვის წერის სკლოვნება». ასრუთვე სკლ-ლები გახსნა ამ დროს აგრეთვე არმქნიაში და აღიანიაში.

მაგრამ უნდა ვსთკვათ, ორმ ისინი გახსნა მარტო სპარ-სეთის\*) ნაწილში. „უოველს მაზრაში მესრობმა გახსნა სკლ-

\*) არმქნია და საქართველო ბერძნებსა და სპარსებს ორად ჰქონ-დათ გაუოფილი, ნახევარი ერთს ეჭირა და ნახევარი მეორებს.

დუბიო, ამბობს ქორენელი და დაიწყო სწავლება სპარსეთის ნაწილში უღვეულის მსრის მცხოვრებლებისა,—გარდა სახელმწიფოს ნაწილისა, სადაც მცხოვრებნი ემორჩილებოდნენ კესა-რის ტახტს და ვალდებულნი იყვნენ ეხმარნათ ბერძნული დ სარიული მწერლობარი » \*).

აქედგან ცხადია, ორმ ქართული ამიანის სმარება, წერა-კითხვა და განათლება სამშობლო ენაზე ქართლ-კახეთში უვ-რო აღმა დაიწყო, კიდოვ იმერეთში და სამცხე-კლარჯეთში: შირველში 379 წლიდგან 393 წლამდე, მეორეში 413 წლიდ-გან 434 წლამდე. ამის მიზეზი ის იყო, რომ სპარსეთი არ უშლიდა საქართველოსა და არმენიას ჭრის თავისი მწერ-ა ლობა, ლონდ კი ამით მოქსპოთ იმათ საბერმძოთან კავში-ა რი და დამოკიდებულება. ოდგან ქრისტიანული საწმენოება და ბერმძნული წიგნების სმარება კალესიებში იმათ ზნეობითად აკავშირებდა საბერმძოთან, ამისათვის სპარსეთი არამერ თუ წი-ნააღმდეგი არ იყო ამ საქმისა, არამედ, კვლებ, ხელსაც უწ-ყობდა; სოდო საბერმძოთი კი ამის წინააღმდეგი იყო.

მაგრამ ორცა ქართველები და სომხები მოიჩნენ სკოლე-ბის გახსნას სპარსეთის ნაწილში და განათლების საქმე დააუ-ნეს შშობლიურს ენის გზაზე, ისინი ახლა შეუძგნენ იმას, რომ საბერმძოთის ნაწილშიაც შემოიღონ საკუთარი მწერლო-ბის სმარება. ამ მეცადინებამ, ჩვენის აზრით, გასტანა 17 წე-ლიწადს. ამ დროს მეფობდნენ საქართველოში: ტირიდატი (393—305 წ.), ფასტან მე-IV (405—408 წ.) და მირ-დატ მე-IV (408—410 წ.) ჰლ. იოაკელიან საქართველოს ეკლესიის, თავის მიერ შედგენილს, ისტორიაში ამბობს, რომ

ამ მეფების დროსაც საქართველოში სკოლები გაიხსნათ; მაგრამ 413 წლიდგან ეს ხალხოსნური განათლება უფრო გაძლიერდა. ამ დროს მეფობდა არჩილ I. მოსე ქორენელის სიტყვით, ამის დროს სკოლები გაიხსნა დასავლეთის საქართველოშია. ის ამბობს, რომ ამ ხანებში გადასწუვიტეს ქართველებმა და სომხებმა სიხვაონ საბეჭმელის: მისცეს ნება, ნაცელად ბერძნული მწერლობისა, ისმაროს საბერძნეთის ნაწილშია საკუთარი ანბანი. შეამზადეს წერილები საბერძნეთის იმპერატორთან, თეოდორე მცირესთან, და სხვა-და-სხვა გამოხენილ სასეფლმწიფო კაცებთან. სომხის ქათალიკოზმა წერილები წააღების თვით შესრობსაც. მას თან გაჲვენენ მრავალნი თავის მოწაფეთაგანთან, რომელთ ურთის, უკველად, უნდა უღულილ-იურ საქართველოდგან ქართველი თავადი ჭაუელიცა, როგორც მისიერ მოწაფე და თანამშრომელი. საბერძნეთის სირულიდ არ ეკიამოვნა უარ-უოვა ბერძნული მწერლობისა. „დამსაშავე სართო, რომ ჩვენთა ბოძენთაგან გამოგონებანი (ანბანი) უარი გიუგათოთ, ასრუ სწერს იმპერატორი თეოდორე სახეს—და გიღაცა სირიელებთან წასულხართ და გიძებიათ ანბანებით. ჩვენ არა გასუადა სება მოგვეცა ეგ ანბანები ხმარებაში შემოგეღოთ, მაგრამ მესრობმა დაგრანტენა, რომ მათი გამოგონება დათის განგებით, მოჭედას, და ამისათვის ჩვენც ბრძანებას გაძლევთ დაუუღნებლივ ასწავლოთ (?) იკა\*).

მიღლო თუ არა საბერძნეთისაგან თანხმობა საკუთარის ანბანების ხმარებისა, მესრობი მაშინვე დაბრუნდა და დაირა არმენია, საქართველო და ალბანია და დაწერ უოელგან ქადაბება და სკოლების გასსნა იმ ნაწილებშიაც, რომელნიც ბერძ-

\*.) იხ. Աշտ Խորեն. զ. 209, 210, 215, 216

ნებს ეკუთვნოდნენ. ოფერა სომხის მეზის მდივნად (სეპრე-  
ტრად) ნამყოფმა, იმან გარგად იცოდა სპარსეთის და საბერძ-  
ნეთის შოღიტივის მიმართულება: ერთს უნდა სომხებისა და  
ჭართველების გაბერძნება. მეორეს გასპარისება. ამისათვის მე-  
სომბი უოველს ღონისძიების სმიარობდა ოფერამე ჩაეგანებინა  
უკედასიავის; ორმ მიეღოთ ასაფი საკუთარი ანბანები, შეესწა-  
ვლნათ და ესმარხათ და ასე დაეცით თავიანთი სილხორცია გადა-  
გვარებისაგან. ქორენელის სიტყვით არჩილ მეზის დროს, 434  
წლამდე, მესომბი გასსნა სკოლა ალაზნის მარწევნა მხარეს პა-  
გასაკანში, ამ განტრანსფირ, ორმ მოსახლეს კურშობა აქაური სალს-  
ში. სოლო ბაგასაკან, ბალესაკან, ბაგაკან, ბა-  
გადედრალ, — უკედა ეს სახელები. ჰატკესოვის სიტყვით, სომ-  
ხურად ერქო ახლახნელებს ბელაქანისა\*). აქ გადმოიყვანეს მასწა-  
ვლებლად ზემოსექებული მუშე, რომელიც ამ დროს ეპიკო-  
მოსად იყო. ამავე დროს სამი სკოლა გასსნეს ბეთეშის მხა-  
რეს: ერთი სპერში (ისტირი)\*\*), სადაც მასწავლებლად დაუკუ-  
ნეს დელანტი და ენოქი, მეორე დერჩანში, და მიაბარეს ეპის-  
კოპტის გნიერტს და მესამე — ეკეტიაც მი და მიაბარეს დასანს. ამ  
სანებში მექარობი მიიწვია თავის სამფლობელოში აგრეთვე იგრიის:  
მთავარმა აშოტმა, ომდეის საერთისოვანაც შეადგნდა ტაში-  
რის მაზრა (ჯავახოს მხერე), სალხისეთვის საქადაგებლად და  
სკოლის გასახსნელად. დიდის სისარულით მიიღო აქაურმა  
სილხმა მექარობი და მისა სწავლა, ესე იგი ის ცვლილება,  
რომელიც მან მოახდინა სკოლებში და, ნაცვლად ბერძნულის

\*) იხ. История Агванъ Кааганкат. гл. 324 въ прѣ-  
мѣчаніяхъ.

\*\*) იხ. გეოგრაფია ვახუშტისა გვ. 114.

შექადაბისა, შემოიღო საკუთარი — ქართული. «აშათსავით სალისანათ მის სხეს მოწაფეებსაც არ მოუღიათ მისი სწავლა», სწერს მოსე ქორენელი. მოსე კაგანგატვაწი კიდე ამბობს, რომ მესრობი ბრძნებას აძლევდა იავის მოწაფეებს უსწავლებისათ მიაწვილებისათვის წერა კითხვა; ის იყო სრული მოძღვარი და მოციქული; ის უქადაგებდა. სომხებს, ალბანელთ და იურიელთ (ქართველთ) და ასწავლიდა მათ თავისთვის ენების ანბანსათ»\*).

ასრული და ამ სახით მე-IV საუკუნის დასასრულს გამოაკონის ანბანები და გასსხეს სკოლები საქართველოში, არმენიაში და ალბანიაში, და დაიწყო ქრისტიანული განათლება ერთსა მამშობლო ენაზე საკუთარის ანბანებით.

მაგრამ ჩვენი დასკვნა მთლად მართალი არ იქნება, თუ ისიც არა კითხვით, რომ საღმოსანური ანბანი არც არმენიაში და არც, კვონებ, საქართველოში საღმოს უოგელგან ერთ და იმავე დროს მესრობისაგან არ მიიღო ხმარებაში. ამ აზოს ბუნდათ მოიხსენიებს თვით ქორენელიცა. ის ამბობს: „არ უნდოდათ მიეღოთ მწერლობა“; . . . «ჩვენ მაღიან კმაყოფილნი დავიჩით, რომ ჩვენმა ქვეშეკრდომებმა არ მიიღეს თქვენი სწავლათ» (ესე იყი ახლად გამოგონებული ანბანები)\*\*), ეუბნება თეოდორე იმპერატორი თავის წერილში ქათაღივოზს სააკს. მაგრამ ეპისკოპოსი ითანებ მამიკონიანი, რომელიც მე-VI საუკუნეში სცხოვრებდა, პირდაპირ ამტკიცებს, რომ არმენიაში

\*) Ист. М. Хорен. гл. 210, 211, 218, 219; Истор. М. Каганкатацаи гл. 70, 90; Ист. В. Великого гл. 71; Шопенгейер гл. 96.

\*\*) იხ. гл. 214 და 215 მისი საცდომოსა.

ზოგიერთ ადგილას მე-VI საუკუნის დასასრულამდე არ იხმარებოდა სომხური მწერლობა და ეკლესიებში წირვა-ლოცვანი სირიულს ენაზე აღსრულდებოდათ. მაშასადამე თითქმის 200 წლის განმავლობაში, მას აქეთ რაც მესრობმა შეამუშავა და შემთხვეობო სბარებაში სომხური ანბანი, ყოველგან არ იყო ის მიღებული სომესთავან და მის შემთხვევას ძლიერ ეწინააღმდეგებოდა სირიული და ბერძნული მწერლობა\*). ეპევე უნდა ითქვას საქართველოზე ზე. ჩემის აზრით მე-VII საუკუნის დასწეული სამდე ქართველები სმარტბენის შინ მსედრულს ანბან ესიებში კი ზოგან ბერძნულს მწერლობას, ზოგან იმა შესდორულს; მე-VII საუკუნის დასწეულისში კი, როცა, იღანები მამიკონიანის თქმულებით, სორილიად კადავარდა არმენიაში სირიულისა და ბერძნული მწერლობის სმარება, — საქართველოშია სორილიად უარი ჰყენს ბერძნულისა და სირიულის მწერლობის სმარება და მიიღეს სამუდამოდ სამოქალაქო ცხოვრებაში სახმარად მსედრული, ანბანი ფარნალზისა, ხოლო ეკლესიებში აღბანური ანბანისა. რომელსაც აუ ჩემ ქართველნი «ხუცურს» გეძახით.\*\*)

მღ. ლიმ ჭანაშვილი.

(დასასრული უემდეგ წიგნში).

\*) იხ. История М. Хоренского, «Приложение» четвертое, Эмина, стр. 374

\*\*) ნუცურისა და მხედრულის ანბანის უსახებ რედაქციის აქვთ ხელში სცაცია ბ. დ. ზ. ბაქრაძისა, რომელშიაც სრულიად წინააღმდეგი აზრია წარმოთქმული, ვიზრე მამა ლიმ. ჭანაშვილის წერილში და რომელიც ერთ-ერთ უძლევს წიგნთაგანში დაიბეჭდება. რუს.

## შ ი მ შ ი ლ ი

(აზრი რესულიდგან)

მომიჯდა სამუშევარი, ღმერთიმა არ მომცა პურია,  
 სეტებამ მორგბა გენახი, ცარიელი სდგას ჭურია,  
 მისდორი მკამა მოძოვა, ბლავის ცხვარი და ფურია,  
 წარა ც გაგვიძრო კოლეგამა, მშიან და კიდევ მწყურიან!...  
 თუ გაგვიმრავლდა ცოდვები, რომ მოგვივლინა შიმშილი,  
 ან ამერთო შემოკიწყობია, სასჯელად მოგვცა სიყმილი,  
 უკმელა კრიჭა შამკრია, გამომელია სისილი,  
 კარ და აღარ კარ რაც გაეგა, თავს დამტორიალებს სიგვდილი!...  
 დახედე ბედმა უწეალომ რა მწარე შხამი მიღესა,  
 ბალლები შემომტორიან, ეს უფრო სულის, გულის მილებია,  
 მშობლები, მათი მცემულნი სულ კავრაჭუნებო კილებსა,  
 დახე სიმხეცეს: საზრდოსოვის ჩემნ კაგირაგებო შვილებსა!...  
 შიმშილმა მიღათ მიმაგდო და არც კი მითხო მე ნახა,  
 დღეს, ბებავს, გამწარებულისა, ხვედრმა ცოდვები მანანა,  
 არა რაც მაქვს, რომ უფალის მაინც მიუძღვნა მანანა...  
 წარვიდენ, განჭქრენ ის დარონი, როცა გვიწვიმდა მანანა!...  
 სიგვდილმა კუპი ამომწვა, მომგვარა სისუსტის ძილი,  
 უკმელა კრიჭა შამიურა, გამომელია სისილი,  
 გლომობდა, კეფს კემუქროდი, დღეს მომერია შიმშილი,  
 გარ და აღარ კარ კაუავ, თავს დამტორიალებს სიგვდილი!...

თ. հ. მარსავი.

## შერიცლები ლორონცო გენოვესა.

(შედეგი\*).

თ ა ვ ი XXVIII

კაზახია.—დაბრუნებული წერილი.—პრაზიანი ამაზონკა.

სანდისსან. რა ნაირ აკციილებას ასდენს ჩვენს ცხოვრებაში ერთი რომელიმე პირის მოვლება! რა ნაირად გვაკლდება თვალში! გადიოდენ დღეები და კვირები, მაგრამ ჩვენ მარც კერძომშეიდებულიყავით ჭანტაზის მოშორების გამო. იმის სახლი ჩვენი თავშესაფარი ადგილი იყო, სადაც, ჩვეულებისამებრ მივიდოდით სოლმე, რომ გაგვეტარებინა ბეგზი უსიამოვნო დრო. ჩვენ დარწმუნებული კიდევთ, რომ იქ კარგად მიგვიაქციდნენ. ეხლა, როგორც სომალდებმა, ჩვენ დავგარებოთ ჩვენი, იალქანი და ჩვენი მეგმე. ჭანტაზის თავის თავის იმედი, იმის გამჭრიასი ჰქონა, ასდენდენ ჩვენს გამაცოცხალების გავლენას და გვიძარებდენ ენერგიას. რაკი ეს ძალა, მოგვაკლდა ჩვენც თითქმის სულითა და ხორცით მოკეშვით, მარტო მა და ცეზარი არა კირძნისაბდით არარაობის და სიცარიელეს. ალ-ჭრედი, თავადი და სტორცაც, რომელიც ის-ის იყო გამოუ-

\* ) „შერიცლები“ №№ 7 და 8, 1883 წ.

შეს ციხიდგან, ამისთანავე მდგომარეობაში იყჩნენ. ოუმცა წა-  
სკლის დროს ჭანტაზიობ გვითხრა, რომ ერთგულად და მა-  
მაცად მოიქციოთ, მაგრამ საჭმე, რომელსაც ჩვენ კემსახურე-  
ბოდით, ცოტა არ იყო დავივიწუეთ და უველანი თითქოს ამას  
კამბობდით: «რისთვის? ჭანტაზით ჩვენთან აღარ არის!»

იგი სწერდა თავის მშობლებს და იაინიც ჩვენ კვატეო-  
ბინებდნენ იმისი ამბავს. იგი სულითაცა და სორცითაც კარგად  
იყო. უველა იმისი წერილები საკვე იყო ტკბილის მოგონებით  
ორს მძასედ, როგორც იგი ჩვენ გვეძასოდა; როგორც უგა-  
ნისკენიდი წერილებიდამ სხინდა, იმას შევიდარიაში ემოგზაურნა  
და ამ ქვეუნის სიტუაციებს ძალიან გააყვარებინა იგი. შემდეგ  
იმას განკრძახა ჰარიუში წასკლა.

რაა ცუდი ამინდები დაიგირა და ჭანტაზიოც ციხეში  
დაიტოვეს, მე ზამთარში ლილლა თითქმის ველარა კნასე; რო-  
დესაც გაცხაფხული დაბრუნდა, მაშინ თავის დეიდის მძიმე აკად-  
მუოვობის გამო ლილლა მას არ მოშორებია. მოსუცებული  
გაგრუებით უვარდა თავისი დისტაცი და უიმისოთ ერთსი წუთ-  
საც კერა სძლებდა. ჩვენ ხანდის-ხან წერილებსა გწერდით ერთ-  
მანეთს; მე კამჩენვდი, რომ ლალლა დიდის მღვმინებით, რომ-  
ლისგანაც არ შოგელოდი, იტანდა შეკიწროებას, რომელიც  
ძიავენა ხესენებულმა შემთხვევაში.

ერთს მშვენიერს დილას, სამს თიბათვეს,—მგონია მე-  
სხიერება მე ინ მატუუებს, ამიტომ რომ ირთ დღის შემდეგ  
მე და ლილლას გაცნობის ერთ წელიწადი სარულდებოდა,—მე  
გამოიედი გარეთ გასასეინებლად. გვირა დღე იყო და ამიტო-  
მაც არა ჩვეულებრივი მოძრაობა ასალს ჭიხაზედ, რომელზე-  
დაც მე გავიარე. უქმად მოსაირულეთ სიმრავლემ პირველად არ  
მიიქცა ჩემი უკარდლება, მაგრამ რამდენიც წინ მივდიოდი იმ-

დენად უფრო მატეულობდა მოსეიონეთ რიცხვი, ასე რომ ზოგიერთა ადგილას ჭება თითქმის შეკრული იყო. იმ დროსკე მე მომესმა მსათაული მუსიკა, რომელიც მოისმოდა იქიდამ, სადაც მე ვიყავ. მე კვითხე ვიღასაც, თუ ის რას ნიშნავდა. «ეს კაზაჩიანა», მიშესუხუმა: «შავები გამოდიან». მე ჯერ არ მენახა კაზაჩის პოლიცია, რომელზედაც ბეკი გამეგონა, და ამიტომ ესლა კისარგებლე შემთხვევით დამეკმაყოფილებინა ჩემი ცნობისმოვარება და დაუწეუ ლოდინი, სხვა ცნობის-მოუკარებისაკით.

კაზაჩიოს ისტორია ძალიან დიდი ხნისაა. გენუის ხალხი იყოვებოდა რამდენსამე კორპორაციათ და უგელა მათგანს თავისი წესი ჰქონდა, ოვითი უპირატესობა და თავისი დოცვის ადგილი.

რამდენიმე კორპორაცია ერთად შეერთდენ იმ აქრით, რომ ერთად ელოცნაო. იმ შეერთებას დაარქვეს სახელი «ძმობა». გვირა და უშმე დღით დილით ადრე ძმები იურებოდნენ საუდარში ან საკუთრად მათთვის დანიშნულ ადგილს და ისმენდნენ ლოცვას და ქადაგებას. წირვის მოსამზადებელ და მღვდლების ჯამაგირისთვის საჭირო ფულს უკულ თეს და თევ თვით ამ «ძმობის» წევრები იხდიდენ.

ჩემ დროს ორი უმთავრესი ძმობა იყო: შავი და თეორი. ორივენი გამრავლებულნი, მდიდარნი და ერთი ერთმანეთის მოვიბრუნი იყნენ. ერთს შავი და მეორეს ოეთრი ძმობა იმიტომ ერქვა, რომ ერთის სალოცავში ქრისტე შავად იურგამოხატული და მეორესაში კი თეთრად. ეს ორივენი ერთმანეთს შერთ უუკრებდნენ. მათი ჯაბრობა და შერი გასსაკუთრებით მაშინა სჩახდა, როდესაც მათი დღესასწაული მოვიდოდა ხოლმე. ამ დროს ორივენი ცდილობდნენ ერთიერთმა-

ნეთი დაქნაგრათ. თუ ორმ თეთრები გამოდიოდნენ ასალის დროშით და გირვანქანი წმინდა სანთლებით, მაშინ შაგები თავეთ დღესასწაულის დროს თუ-ორ გირვანქანი სანთლებით და ბეკრით დიდი დროშით გამოდიოდენ. ერთხელ თეთრები გამოვიდნენ ფარისის ტანისამოსით, მეორ შავებმაც საკურდის ტანისამოსი ჩაიცეპა. ერთის სიტყვით ეს ორი მმობანი მეტია-მეტად მდიდრულად იცვამდენ ერთი-ერთმანეთის ჯიბრით. მდი-დარი სალხი ლარიგეს შეელოდნენ, ხარჯავდნენ დიდ-ძალის ფულს, თითქმის იღუპებოდენ. ამისათვის ამა აძლევდენ სა-ჩუქრად „მიზარელობის“ ხარისხს და სიება ჭრინდათ ეტარები-ნათ შავი ან თეთრი ჯვარ-წმული ქრისტე. მაგრამ უკულას გა-მოესება ერთი არ არის. რას იგებდა სარწმუნოება ამ თეატ-რალურს პროცესით? რასაკირკელია, ამ დღებში წინანდე-ზედ უფრო ბევრს სკამდენ, თამაშობდენ და ჩეუბობდენ.

ამ დღეს, ოომელზედაც მე გლაბარაკობ, უკულანი შავების დღესასწაული ელოდენ და, სწორედ უნდა ვსოჭეთ, ლოდინმა ამაოდ არ ჩაგვიარა, ისე დიდებულად იღესასწაულეს, ორმ მეტი. ადარ შეიძლებოდა. უკულას ოქრომეტედით ნაკარი მშე-ნიერი ხავერდის ტანისამოსი ეცვათ. ოთხს კაცს, ოომლე-ბიც პროცესიას წინ მიუძღვდენ, ხელში დიდრონი კურწხ-ლის ყავარვები ეჭრიათ, ისინიც ისე მდიდრულად იუკნენ მორთულნი, რომ მათი ტანისამოსი ხუთი ათასი ფრანკი ეღირებოდა. უკულას, ვინც პროცესიას მისდევდა, ხელში დიდრონი სანთლები ეჭრიათ, იქ იყო ოთხი დიდი კვარდ ძვირფასის ნივთებისაგან გაკეთებული: ერთი — შეოლამუნ-ტისა, მორთული აქროთი; მეორე — კუს ძვლისა, მორთუ-ლი კერცხლით; მესამე — შავი ხისა აქროს მორთულობით; მეოთხე — მთლად კერცხლისა იყო. უკულა ჭვარს თავისი მუ-

სიგა მისდევდა და ის მუსიკა, ოომელიც კვარცმას მისდევდა, შესდგებოდა სამოცი მუსიკანტებისაგან. კვარცმის კუთხები ბაჯაღლო ლქოსაგან იყო გაკეთებული და ლქოსივე უურმნის მტევნები ეკიდა. წარწერილი ასოები: ი. ნ. მ. უ. შედგენილი იყო ბრილიანტებისაგან. კრთის ბიჭის, ოომელიც ცხენით მისდევდა და ოომელიც კვლები ითანე ნათლის მჩემელს მოასწავებდა, ლქოს ტანისამოსი კვა და ეს ტანისამოსი ბატქნის ტეატრა ჰგავდა, მისი ცხენის მორთულობაც ლქოროთ და უძვირფასების თვლებით ბრწყინავდა. ლქო, ლქო და ლქო—უგლეზედ და სუსკელგან! პროცესის უან მოჭქონდათ ლქოსაგან გაკეთებული კიბრისხალა გილაც წმინდანის ნაწილებით.

პროცესია ძალიან გაჭიანურებული იყო; იგი გაგრძელდა რამდენსამე საათს. იმ სასილის ფანჯრები, საითვენაც ამ პროცესიამ გაიარა, მორთული იყო მშენიერი უგავილებით, უფრო მომეტებულად წითელი უკავილებით. ჭეხა-ჭეხა მათ ბერი მაუგრებული ემატებოდა, ოომლებიც უგავილების ისროდენ. მე ის იყო უნდა გამოვსულიყავ სალხიდამ, ოომ ამ დროს ჩვენი უკრადღება კრთმა დიდებულმა სურათმა მიიჭია.

ახალ-გაზდა ქალის, ოომელიც პრეველის ეტაჟის ფარაში იჯდა, თავის შავის თმებით შემსილი თავი უკან წაიღო რომ მორიდებოდა ერთს დიდის ხელს, ოომელიც გარდებით იყო საკუთ და უნდღდა ამ ქალისათვის თავზედ დაუკარა.

ამ ახალ-გაზდა ქალის შეხედულობა საჭე იყო სიტუაციითა და შეენიერებით. დიდ ხელის პატრონისა ცოტა უკან დაიწია. იმის სასე კრთის წუთს დაიგარებული იყო ამ ახალ-გაზდა ქალის შეენიერის თავით; პრედესაც იგი გვერდზედ გადაიხარა, მე ბეჭტონი დაკინახე! იმავე წამს ახალ-გაზდა ქა-

ავითე კიდევ თავი და დაკინახე ჩემს გვერდით მდგამარე სანონია. მე გავტრაზიანდი და შემრცხევა, ოთმ მან ამისთანა მდგრადარებაში მნახა.

— თქვენ აქ რას აკეთებთ? რასათვისა მზერავთ?

სანტინაშ ენა დაბმით მოითხოვა ჩემგან შენდობა და თავის გასამართლებლად მთხოვა, რომ აკად მეგონეო.

— გთხოვთ სსვა დროსთვის აგრე მშიშარა და ცნობის მოუკარე ნუ იქნებით. გთხოვთ თავი დამანებოთ.

მას ძალიან ეწეონა და რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა კარგისკენ.

იტალიაში, სადაც მოსამსახურებს ისე უუურებენ, როგორც თავეთ ოჯახის შეიალებს, იგინი თავეთ ბატონებს შინაურულად ემცევიან. რაც შეგვესბა მე და სანტინას — ჩენ უფრო უბრალოდ შექცეოდით ერთმანეთს, რადგანაც მე ამ ასაღვაზდა ქალს წერა-კრონვას ვასწავლიდი. მე ვიგრძენ, რომ ძალიან სასტიკად მოგამეც და დავუძასე დაბრუნებულიყო.

— აგრე ნუ მიცერით, სანტინა. მე ვიცი, რომ თქვენ გულ-გეთილი ქალი სართ და არ მინდოდა თქვენთვის მეწერინებინა.

— მე არ შემიძლიან გულ-გრილად გიუუროთ თქვენ მაგ მდგომარეობაში, მომიგო თსვრით.

ესლა ჩემი რიგი იყო იმისთვის ნუგეში მეცა.

— ნუ სწუხდებით მაგისთვის, სანტინა, მე არ მოგვცდები. ეს ჩქარა გაივლის.

— მე მინდოდა დამეწვა ეს წერილი. მე მინდოდა გამეცნო ქალი! სთქვა სანტინამ გულმსურვალედ.

— რა წერილი? რომელი ქალი?

— წერილი, ქალის ხელით დაწერილი, რომელიც მე მოგეცით ამ ერთის წლისა და ორის თვის წინად.

— და მას აქეთ მაგაზედ მიწურებით?

— გული მეუბნებოდა, რომ თქვენ აბ წერილი კარგი არა-  
ფერს დაგაურიდად.

— იქნება მართლაც გიგრძნო გუდიმა. თქვენ კარგი მესხი-  
ობა გაჭირა. იმ ქალის საწერს იცნიბოთ?

— დიად, თუ გინდ ათას სელ-ნაწერში.

— კარგი! მაშ იმ ქალისგან დაწერილი წერილები როცა  
მოვიდეს, უპარე გაგზავნე სოლმე, და უოსარით, რომ მაგას  
ჩემი ბრძანებით შევუტით.

სანტინის სახე გაუმსიარებულდა.

— თქვენ მე მომენტეთ, შითხოვ მან: — მე კოცდები.

მართლაც და მან ადამირულა ბრძანება. მეორეს ღლეს და  
ჟემდეგაც იმ ქალისგან ბევრი წერილები მოვიდა: სუმედანი  
უკან დააბრუნა. ზერის რეგის გაიგებდა თუ არა; სანტინი მა-  
შინკე კარებს მივარდებოდა, და ერთი გვირის შემდეგ, რო-  
დესაც ჩვენ გვინდოდა სოფელში წავსულიყვანით იგი გვითხებ-  
და ქალებში დაკრისებულიყვანით, რადგანაც ეშინოდა, რომ კა  
თუ ჩემს იქ არ ყოვხნაში, ჩემი ბრძანება აღარ ასრულებულიყო.  
იგი მოვიდა ჩვენთას სან-სეკონდოში ერთას თვის შემდეგ.

აა საირად გამოცვლილა სოფელი სან-სეკონდო! მე თი-  
თქმის ის ადგილი იმ ადგილად ადამ მეგონა, არგორიდ წი-  
ნა წლებში მისისავს; მწვერეს დაკარგა ჩემთვის თავისი ლაზათი,  
ჭერს — სისუფთვე. ჭანტაზით იქ არ იყო. მაგრამ ერთი-  
იმის სახლის სახვა, რომელიც გორჩზედ იდგა, გულს მისა-  
რებდა. აა საირ დაცარილებულსა და დაღონებულსა ჰგავდა  
ესლა ის სახლი, თუმცა გატებული სტანები ამტკიცებდენ,  
რომ იქ სალხი ვიდევ სცხოვორდდა.

სან-სეკონდოში სამი თემ გავატარე, მაგრამ ამ სამს თვე-  
ში არავერი მისიმოვნია, სულ მოწუნებული ვიუა და მწუხა-

ოუბით კივთასებდი წარსულის დროს. უღელ-დღე ჩემს თავს გუბნებოდი, ორმ ლილლას არას დროს არა კუვარებივარ, ორმ თუმცა მე იმაზედ გავლენა მოვახდინე, მაგრამ სასიათებით, გრძნობით და საგანზედ შესედულობით ერთამანეთისაგან ძალას კირჩევით. უკრად დიდი ხსის სიჩუმის შემდეგ დიღლასასაგან მივიღე წერილი, ორმელმაც სულ არიგ-დარივა ჩემი ფიქრები.

დღილლას ისეთის გამოცელილის ხელით დაწერა წერილი, ორმ სასტიისაგ გეღარ ეცნო და გადმომცა ის წერილი. არგი გავსხვან ეს წერილი, გეღარ მოვითმინე და ბოლომდის წაკიცითხე. ლილლა საშინელის მედიდურის კილოთი მწერდა წერილსა: იგი მწერდა, ორმ დიღად გამაჯაჭარა შენმა ჭკევანში ცხოვრები; უცოდისარობამათ, მაგრამ მაინც შენზედ ვფიქრობ; ამას გარდა იგი მწერდა, ორმ დიდი სასია გამჩნევდი, ორმ შენ ჩემი თავის დანებება გინდონდა, ორმ შენი ასეთი მრევა საზიზდანდა და არც ერთს ჰატიონსას კაცის ას შემცენისო. წერილი იმით თავდებოდა, ორმ მიგონებდა, ვითომ მე სხვა შემუვარებულებეს და იმას იმიტომ კანებებდე თავსა.

ეს წერილმა კვალად აღმიშალა დაითანა გებული კულის მეტ-ლი დაუდება. შენ სრულიად უდახმაულო იყო და სხვები კი დასხმაულად გთვლიდნენ! ამზედ მეტი სასკელი კიდევ იჭ-ნება! პირველს გაბრაზებაზედ მე დასწრე წერილი, ორმელიც არ გავგზავნ და ძალის კარგათაც მოხდა. ასი არ იჭნება მას სასხსავად დრო დავუხიშნო და მაშინ როგორც მისდა პირ-ში ისე გავლასძლო? ბეგრძა საათმა გარარა იმის ფიქრში, თუ ორგოლ მოქმედეულიყავ. ძლიერს ერთს აზრზედ დავდები, ორმე-ლიც ჩემის აზრით გონივრული და ღირსეული იყო. მე ლილ-ლას წერილი პაკეტში ჩავდე და უკნ დაუბრუნე, ისე ორც

ერთი სიტუაცია არ ჩამიმატება. მაგრამ ამ წერილში, ორმედ-მაც ასეოთ მწერალება მომზენა, იუთ ერთი წევთი დასამშეკრე-ბელ ძალზამისა, ჩემი გულის იარების საკურნებლად. ლილლა ქვეითობდა, და ჩემს შესარცხვენად გამტებები, ორმ ჩემი გული ამ ფიქრების გამო სიამოვნებითა სტეპან. ვისზედ კეტებდა? ძალიან შესაძლებელია ორმ სანტინაზედ. ლილლას მოახლეს მოჭქონდა თავის ქალ-ბატონის წერილები და სან-ტინა ელაბარაკებოდა ხოლმე მას.

მე ვსოდე, ორმ სან-სეკონდოში ჩვენი სახლის ჰირდა-ზირ სათივე იყო, ორმდის შეაშიარ წეალი მიჩქრიალებდა. მარჯვნავ მხარეს ოამდენიმე სე ერთად იდგა, ორმდების ჩრდილს ქეშაც წამოვწეობოდი ხოლმე და ან გვითხულობდა, ან ვუიქრობდი. შეა დღისას ორმ ჩამოცხებოდა, აქ ბევრი ჩი-ტები გროვდებოდნენ, ორმდებიც ჩემსაცით საჩრდილობლად მოდიოდენ. მე ვკუთხარი ერთს ამ სეზედ ჩემთვის ქოხი გაე-კეთებინათ და იქიდამ საწეალ ჩიტებს თოვს კესროდი ხოლმე. ეს ქოხი ჩვენი სახლიდამ კარგადა სჩნდა და კარგათაც მესმო-და, ორცა შინიდამ დამიძსებდენ. სადილის წინ მე იქ უოკელ-ოვის მიკდიოდი და, სინამ არ დამიძსებდნენ, აღარ წავიდოდი ხოლმე. ლილლასთან წიგნის გაგზავნის შემდეგ, მეორე დღეს, შე ჩვეულებისამებრ წავედი ჩემს ქოხში. წამოვწევი თუ არა მაშინეუ ჩემს წინ დავინასე. . . აბა გამოცენით ვინა. . . ლილლა!

— ძლიერ არ მოსკედი, მითხოვა იმან; — მე შენ აგრ თორ საათია გული.

გავკირვეულმა და გაოცებულმა პასუხის მიცემა კულარ მოკახერსე.

— თქვენ არ მოელოდით განა, განაგრძო მან მწერალების გა-

— თუ ჩემი სიამოვნებისთვის მოსულსართ, სწორედ გთხ-  
რათ, არაფრად მესიამოვნა. თქვენი ქცევა თქვენს უჭიკობას და  
მოუსაზრებლობას ამტკიცებს. ამ სომ უკალახი დაგვინისაგან.

ლილლამ ტექნიკ მოიგვინიტა.

— თქმუნ მგონია იმაზედ ლაპარაკობთ, რომ ამისთანა ქცევით ჩემს სახელს ჩირქს მოვცესობ? მომიღო იმა. ეგრე ჭიგიან ური აზრი საიდამ მოგივიდათ ასე უკრად? თქმუნ წარნად აგრე მშიშარა არ იყვათ, როდესაც, ზალში ურკელ დღი ერთმანეთს გხედავდთ ხოლო.

ବ୍ୟକ୍ତି ହେଉଥିଲା କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ  
କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ କାହାର  
ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ

— မျှ မာဇာဝန် ဒုက္ခိုဆာတ်, စဲလီ အေး ဂံ့ချော်း မျှ မျိုးဆိုဝင်းနှင့် စွဲ  
လောက်ပိုမို့ပွဲပျော်လိုက်ဖြာ ပါ၏၊ ကဲလီ ဟျော်လီ ဤစွဲတော် ပျော်လိုသူတော်၊ ပျော်လို  
သူတော်တွေကို ပွဲမြန်၍၊ မာဝန်ဖြာ စွဲ၊ မာဝန်ဖြာ၊ မျှေး မြို့သူလွှာ ပါ၏ ပြောကျင့်ပါဝေး  
ပျော်လိုသူတော်၊ အေးသူဖြာ မျိုးဖိုး။

— თქვენ ძალას ცოკვულა სართ, თქვენ ისეთს მჭიახე ქი-  
ტების იტევით ხოლმე, ორმჯებისგანაც ძარღვებში კისხლი  
ჭიადულება ხოლმე.

რავი შევნიშნე, რომ ის გასაბრაზებელს მიზეზს ეძებდა, მე ჩასუსი არ გავიწი.

— თქვენ გუშინ, განაგრძო მან ცოტა სხის სიჩემის შემ-ზებ, — დამიბრუნეთ ჩემი წერილი. რა ნება გქონდათ, რომ ასე სასტიკად მომეტებით?

— თქვენ თავის რამებს მაბრალებთ, რომლებიც გულშიაც არ გამიტარებდა. მე ისეთი არაფერი მინდა კსოვებ, რაც თქვენ გაგაფავრებთ, მაგრამ ნება მიბოძეთ მოგასსენოთ, რომ თუმცა მოგწერეთ წერილი, უსაფუძლო თავის შინაარსით და უშესა-ბამო თავის გარებანის ფრთმით, მაგრამ დიდს მაღლობას გა-დაუხდი ძმას, ვინც იმ წერილს უბასუსხლდ უკან დამიბრუ-ნებდა.

ლილლა უურებამდის გაწითლდა.

— თუ რომ ჩემი წერილი ავრეთი იყო, როგორც ამბობთ, მაში რატომ არ გეტყობათ, რომ თქვენ გულ-ნატენი ბრძან-ლებით? ერთის სიტყვათ, რატომ ისე არ იტყვით, როგორც მოიძრება კაცი, რომელსაც ძარღვებში სისხლი უდევს, არა-შედ მოიძებით ისე, როგორც. . . (აქ ცოტა შეურებდა). როგორც გაქნილი.

— ე ავთროთოლდი, მაგრამ თავი დავიკირე და უუთხარი.

— შენ მეონი არ გესმის რასა ლაპარაკობ. ძმან ჩემს შა-სუსს უური არ უგდო და განაგრძო გაბრაზებით:

— ის შეურაცხუოფა, რაც შენ მე მამაუნი, დიდი ხანდა შენ მოფიქრებული და გადაწევილი გქონდა. აბა, ერთი უარი თქვი ამაზედ.

— სრულიად უარი კაშილი:

— მაში რას დაუძახებთ, თუ არ შეურაცხუოფას ძმას, რომ ჩემი წერილები და სახსოვარი ნივთები უკან დამიბრუნეთ?

— თქვენ იგი წერებთ იმ რიცხვს, რომელიც იმ პატიჲს აზის, რომელშიაც წერილები ეწყო; ის წერილები საკმაოდა ხსნაან საქმეს.

— შენი რიცხვი, მითხრა ლილლაშ ტუჩების კვნეტით: — არის უძინეზო თაქედობა და სრულიად შეეფერება შენს უღმერთობას და ჭუკვას ჩემს შესახებ. თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, რა დანაშაული ჩავიდინე ისეთი, რომ ისე მეტცვითა, როგორც ერთს უკანასკნელს დედა-კაცს.

მთლად ჩემი ძალები თრთოდენ, როდესაც მოვიგონებდი ფანჯარასთან მომხდარს ამბავს, მაგრამ კიდევ თავი და-კიდიორე და დამშვიდებით კუთხარი:

